ცისკარი.

1873

თებერვალი.

წელიწადი მეშვიდმეტე.

წოდება თხზულებათა:

I, — უკრაინის დიპლომატები. მოთხრობა (დასასრული.) ი. კერესელიძისა.

II, — ლექსი კნეინა ეკატერინე ერისთავისა.

III, — ვისაც მოსვდეს ჩემი არა ბრალია. თავ-ხედისა.

IV — სხუა სხუა ანბავი.

ტფილისს.

მარტიროზიანის ტიპოგრაფიაში.

საქართველოს სსრ
ტფილისი

რედაქციისაგან

ჩუენის, ეოვლიდგან ცნობილის უფ. კოლუბანსკისაგან, მივიღეთ სტატია, შესახებ ერთის უბედურებითის შემთხვევისა, რომელსაცა ვბეჭდავთ კმაეოფილებით.— ცისკრის მკითხველებთა იციან უფ. კოლუბანსკის ნიჭი, როგორც კარგის არტისტისა, სათეატრო საქმეში.— ეს არა ზოგავს თავის შრომას თუკი რამ შეეხება საზოგადოთ კეთილსა რასამე, ამას გარდა, ის დიდად აფასებს ჯ დიდათ თანაუგრძნობს ეოველს კეთილს ჯ არ დააგდებს რომ არა თქუას რა საქვეყნოდ იმ კეთილზედ, რაცა მოუტანს ქუეყანას სბრგებლობასა. ამასთანავე, გრძნობს დიდად ჯ გული შესტკივა, უკეთუ რამ უბედურება მოსდება .იმ საზოგადოების წრეში, რომელსაცა ეკუთვნის. რომელს შემთხვევასაც აქ აღწერს უფ. კოლუბანსკი, ამ შემთხვევამაც ჩვეულებრ იმოქმედა ამაზედ ჯ გამოსთქვამს თავის შინაგანს გრძნობას, სასარგებლო კალმით.

რედ.

წიგნი მოწერილი რედაქტორთან.

უფ. რედაქტორო! რასაკვრველია თქვენც შეიტყობდით თუ რა საშინელი უბედურობა მოხდა ტფილისში ოცდა ცხრასა ენკენისთვისას: შეუცვივდნენ ავაზაკები აივაზოვის სახლში, სადაც დგას უფ. სურგუნოვი. იქ იყო ჩამომხტარი ერივანსკის ჰოლკისა მაიორი ალექსანდრე თურქისტანოვი, რომელმაც ერთის კვირის წინ მიიღო ორასი თუმანი სახუმწიფო ფული. რადგანაც, ჰოლკის კამანდრის ჰომოშნიკი იყო ამის მიზეზითა ჰქონდა სახუმწიფო ფულები. სურგუნოვის მოსამსახურემ შეამჩნია რომ ფულები მიიღო, შეატყობინა ავაზაკებს ⸗ სამის ნახევარზედ შუაღამისას მოხსენებულს თვეში ავაზაკები შეუცვივდნენ, ⸗ დაუწყეს თურქისტანოვს ფულების მოთხოვნა, როდესაც გამოფხიზლდა ძილისაგან ⸗ დაინახა სამნი ავაზაკნი თავზედ ადგანან სანჯლებ ამოღებულნი, რასაკვირველია გაჰკვირდა ⸗ არიცოდა რით მოეშორებინა ეს ავაზაკნი

ᲓᲐ არც უჩვენებდა ადგილსა სადაცა ᲰᲥᲝᲜᲓᲐ შენახული ფულები, ებრძოდა ავაზაკებს ბალიშითა, რადგანც იარაღი არა ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲠᲐ ბოლოს უშიშრებმა ᲓᲐ უღმერთოებმა ავაზაკებმა, დაატეეს რომ ვერაფრით ვერ იგდებენ ფულსა ხელში, ბოლოს დასცეს ხანჯალი მუცელში თურქისტანოვსა ᲓᲐ გაიქცნენ.— თუმცა გათენებასვე მოიეგანეს ექიმები, მაგრამ ნახევარი დღეღა იცოცხლა ᲓᲐ განუტევა სული. ცხონებული იყო ოცდა თხუთმეტის წლისა, სამსახურში შევიდა 1855 წელსა არტელერიაში ᲓᲐ 1857 წელსა მიიღო ᲰᲠᲐᲞᲝᲠᲨᲘᲩᲝᲑᲐ ᲓᲐ აფიცრების ჩინში დაიწყო სამსახური, ლიტოვსკის ᲰᲝᲚᲙᲨᲘ დაღესტანში, შემდგომ სტრელკოვის ბატალიონში, ეოველ ომში იმეო�ებოდა ᲓᲐ ერთს ომში გამოაჩინა ვაჟკაცობა ᲓᲐ მიიღო ვლადიმერის ჯვარი, იყო გამოჩენილი, მიღებული კაცი, უყვარდათ მთავრობას რადგანაც კარგი მოსამსახურე აფიცერი იყო ᲓᲐ ᲰᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ კაცი ᲓᲐ აგრეთვე სამაგალითო ამხანაგი, რადგანაც ამ უბედურს დედას ამის მეტი ვაჟის შვილი არა ᲰᲥᲕᲐᲜᲓᲐ ᲓᲐ რამდენიმე წელიწადი თავისთან მოშორებული იყო, ისურვა მშობელმა ᲓᲐ სთხოვა შვილს რომ ახლო დედასთან გადმოსულიყო სამსახურში ᲓᲐ მშობლის დედის გული დამშვიდებულიყო. შვილმა აუსრულა

სურვილი დედისა, თუმცა დიდი შრომა გასწია გადმოუვანაზედ რადგანაც დაღისტნის მთავრობა გრძნობდა რომ კარგი ამსანაგი ჯ აფიცერი აკლდებოდათ, მაინც დააბრკოლეს, 1869 წელსა გადმოვიდა მაიორის ჩინით ერევანსკის პოლკში, აქ დახვდნენ რამდენიმე აფიცრები, რომელნიც ერთად ემსახურებოდნენ სტრელკოვის ბატალიონში, შაექნათ სისარული საზოგადოდ აფიცრებს ერევანსკის პოლკისას რომ ამისთანა შტაბ-ოფიცერი გადმოვიდა კარგი საამსანაგო ჯ მოსამსახურე, როგორც დაუმტკიცა კიდეცა. არ განულო რამდენმა თვემა პოლკის კამანდერმა დანიშნა ნაჩალნიკათ, სტრელკოვის ბატალიონს უკამანდა რამდენიმე თვე, შემდგომ მიიღო ადგილი პომოშნიკობისა, პოლკის კამანდრისა ჯ სიკვდილამდენ აღსრულებდა ამ ადგილსა, რადგანაც ამ ადგილში უფრო ხშირათ ჭქონდა სამსახურის გამო მთავრობასთან საქმე, უფრო შეაუვარა თავისი თავი მთავრობას, როგორც კაცი ერთგული ჯ მოსამსახურე ეკეფოფისა, ჯ როგორც ამსანაკი, არა ენა ვერ გამოსთქვამს ჯ იშვიათად დაიბადება კაცი იმისთანა ჩინებულის ხასიათებისა როგორც იყო თურქისტანოვი. კაცი მანამ ცოცხალ არს ბევრს კარგსა ნახამს ჯ გამოიგლის თავის სიცოცხლეში, მაგრამ თითქმის სულ

ავიწუდებათ, და ვინც კი იცნობდა ახლო თურქისტანოვს, არაფრით არ შეიძლება რომ გულში არ ეჯდეს თუმცა ეხლა კვდადრია, ⵔ არც დაავიწუდება სიკვდილამდინ, თუმცა მაღალ სასწავულებში არ გაზდილა, ის იო მსოლთდ თფილისის კლასიჩესკის გეშნაზიაში ⵔ არც შეასრულა კურსი, მეოთხე კლასიდგან გამოვიდა ⵔ სამსახურში მაშინვე შევიდა ზემო ხსენებულს ადგილში, მაგრამ ოოვლის ფერით საკსე იო კეთილითა, მაშა სადამე, მე მინდა ვსთქვა რომ თითონვე აცნობა საზოგადოობას თავისი თავი ⵔ არა მაღალსა სასწაულებითა თუმცა ცხონებული თურქისტანოვი არ იო განათლებული კაცი, მაგრამ გულით იო განათლებული. სამსა ოკტომბერსა გვამი მისი მიაბარეს მიწასა სოლოლაკის ამაღლების ეკკლესიის გალავანში. იქ დამარხვის მიზეზი იო სურვილი ამხანაკებისა ერევანსკის ჰოლკისა, რადგანაც მანგლისის გზა არის ⵔ ოოველი მანგლისიდგან ჩამომსვლელი ქალაქში ⵔ აქედგანაც ამსვლელი მანგლისში გადახედონ საფლავსა, სადაც არის შესვენებული ჰატიოხანი გვამი. საფლავის ნების დართვისა იკისრა ნაჩალნიკმა გრენადერის დივიზიისამ ღენერალ ადიუტანტმა კნიაზ იოსებ დავითის ძემ თარხან მოურავმა, რომელიც სა-

შინლად სწუხდა თურქისტანოვის სიკვდილსა. ცხრა საათზედ დილით ზემოხსენებულს რიცხვში შეიყარნენ ხალხნი სადაც გარდიცვალა, ნათესავნი, ტომნი, მეგობარნი ⁂ მრავალნი გარეშე ხალხნი, რომ უკანასკნელად მისცენ პატივი ახლად შესვენებულსა, აგრეთვე ბალკონებზედ ⁂ ბანებზედ ხალხით იყო გაჭედილი, წინ მიცვალებულს მიუძღოდა მათ ყოვლად უსამღვდელოესი არხიეპისკოპოსი ეგსარხოსი, ევსეი ქალაქის სამღვდელონი, რამხარეზედაც მიგესვენათ, ხალხის მწუხარეებას ⁂ მდუღარის ცრემლებს მეტს ვეღარასა ვერა ვხედამდით, რაღასაც საშინელებას ⁂ გასაკვირველს კარტინას წარმოგვიდგენდა, მომატებულად მიმხედველი უბედურის მშობლისა დედა. ვერა მწერალი ვერაფერს ვერას დასწერს ⁂ ვერას წარმოსთქვამს, მგზავსა რაც მაშინ სანახავი იყო. პარადში იყო დანიშნული ის ბატალიონი, რომელსაც უბედური ჭკამანდობდა, ⁂ როდისაც სახლიდან გამოასვენეს, თითქის მდუღარის ცრემლით ტიროდნენ სალდათები, უნდა მოგასსენოთ, როდისაც როდესაც სალდათი ცრემლს დაღვრის ვისზედმე, მაშა სადამე ის კაცი ყოვლის ფრით ღირსეული ეოფილა. ზემოხსენებულს ეკლესიაში წირვა მოასმენინეს ⁂ შემდგომ მიაბარეს მიწასა, ჩასვენების დროს

საფლავში, ეგზარხოსის დართვის ნებითა ⁄ საზოგადოთ აფიცრების ერეკანსკის თხოვნითა წარმოვსთქჳ რამდენიმე სიტყვა ამ შეშოსვევის გამო, ქართულს ენასედ, რომელსაცა გთხოვთ დაბეჭდოთ.

უბედურო მშობელო დედავ ეკატერინე! დღევანდელს დღეს შენის ხელით აერი მიწასა შენს საყვარელს, უმვირფასეს შვილს ალექსანდრესა, ⁄ ჩვენს უმვირფასეს მეგობარსა, ოჴ! უბედურო მშობელო, ქვაც კი ღალადებს ამისთანა საშინელს უბედურებასა; ⁄ ჩვენც არა გვჯერა, რომ ჩვენი უმვირ- ფასესი მეგობარი ალექსანდრე გამოგვაკლდა, მის მშვენიერი სახე, ოვლისფრით შემკობილი ვაჟკაცი, ემაწვილი კაცი ასე უდროოთ ებარება მიწასა. ვიცით მშობელო, რომ ნაწლავები გაქუს ანთებული გამოუთქმელის საშინელის ცეცხლითა, მაგრამ შენი შვილი ალექსანდრე უმეტესად იტანჯა, როდესაც უშიშარმა ავაზაკმა დასცხო სანჯალი ნაწლავებში. მანამ ცოცხალ ვარ არ დამავიწყდება სიტყვები ჩემის უმვირფასესის. მეგობრის ალექსაედრესი, შემდგომ დაჭრილობისა, როდისაც ვნახე ეს უბედური, მითხრა: მეგობარო ჩემო, არა ვნანობ რომ ამისთანა შემთხვევითა ვკვდებიო, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს; რადგანაც ეს განსვენებული გათქმული კაცი იყო

ამტკიცებდა ამას ყველგან, ⁄ ამისთანა გამოუთქმელს შემთხვევაშიაც დაუმტკიცა ხელმწიფეს ვაჭაცობა ⁄ შესწირა თავი, თუმცა ეოვლის უნუგეშოდ ⁄ ცოცხალ მკვდარი დაუტევა თჯსი საყვარელი მშობელი, ვიცით მშობელო რომ შენი სიცოცხლე აღარ გასწევს ხანგძლივ, მაგრამ ესეც უნდა იცოდეთ: რომ იესო ქრისტე არა ქრისტიანს არ უშვებს უნუგეშოდ: წარმთიდგინეთ ის მდგომარეობა როდისაც, იესო ქრისტე ჯვარს აცვეს ⁄ როდესაც მშობელი მარიამ დასტიროდა ცხარის ცრემლით, მაშინ იესო კრისტე უპასუხებდა თავის მშობელს: ნუ მტირ მე დედავ, რამეთუ მესამესა დღესა ნახო ჩემი აღდგომა“ ამითი იესო ქოისტე გვიჩვენებდა, რომ მართალნი იხარებენ სასუფეველსა ცათასა; ისე შენი უძვირფასესი შვილი ალექსანდრე, რომელიც დღეს მიეცა შავსა მიწასა, როგორც მართალი კაცი წინაშე ქრისტესსა ⁄ როგორც მსხვერპლ შემწირველი კაცი უკეთუ მსახურა ხელმწიფისათვის ამისი სული ხარობს სასუფეველში, მაშა სადამე უნდა მოუკლო შენი მწუხარეება ⁄ წარმოსთქვა დამშვიდებულის გულითა სიტყვები იესო ქრისტესი, რომელმაცა ბძანა „ იყავ ნება შენი“ მერწმუნე, აქა მდგომარენი ერნი საზოგადოთ მონაწილებენ

შენს საშინელს უბედურობაში, მაგრამ უნდა აღსრულდეს ნება ღვთისა. ამ გამოუთქმელ მწუსარეების შემდგომ დაგრჩა მხოლოდ ის ნუგეში, რომ ეკედრო ყოველად მოწყალესა ღმერთსა, რათა მან ისმინოს შენის დამშვიდებულის გულითა ვედრება ⁄ ლოცვა, რომ სასუფეველში ცათაში გეღირსოს შენა, შენის უძვირფასესის შვილის ალექსანდრეს სულთან შეერთება; რომელიც ყოველი ქრისტიანი ⁄ მართალი კაცი მას ვსასოებთ ⁄ ვნატრობთ.

ყოვლად პატიოსანნო აქა მდგომარენნო, საზოგადოთ ვეკედრნეთ ყოვლად მოწყალესა ღმერთსა, რათა ამ უბედურს მშობელსა ბოსტეს მოთმინება ამ საშინელის მწუსარების ატანისა, ⁄ ახლად შესვენებულსა პატიოსანსა ვაჟკაცსა გვამსა ⁄ საზოგადოდ საყვარელსა მეგობარსა ალექსანდრეს, დაუმკვიდროს სასუფეველი ცათა.

უფ. რედაკტორო თუმცა საშინელი ⁄ საზარელი სანახავი იყო. როდისაც თითო მუჭა მიწა მიაყარეს, მაგრამ ყველამ შეასრულა ეს წესი წარმოთქმითა მწუსარების გულითა ⁄ სულითა. დაიშალა რა სალხი, საზოგადოება ერევანსკის პოლკში შეიყარნენ ლაგერში ⁄ დაიწყეს ჭაზრი რომ ერევანსკის პოლკის აფიცრებმა

დადგან სახსოვარი ნიშანი საფლავზედა, შეადგინეს სია ჯ ჩამოუტარეს ყველა აფიცრებს ხელის მოსაწერათ, ვისაც რამდენი სურდეს ჯ დადგა იმდენი ფულის ჯამი, რომ იმედი გვაქვს კარგი სახსოვარი დაიდგას. მშვიდობით საუკუნედ მეგობარო ჩვენო, პატიოსანო გვამო უმაწვილო კაცო ალექსანდრეევ, უდროოთ მიწაში შესვენებულო, მანამ ცოცხალი ვართ შენი მეგობრები, ჩვენს გულში არ გაქრება შენის მეგობრულის სიყვარულის ნაპერწკალი.

პორუჩიკი კოსტანტინე კოლუბანსკი.

— შჩელმენკო! ჩემო მეგობარო, დამეხმარე ეგება როგორმე დამაჭერინო ეგ პატიოსანი, დიდ საჩუქარს მოგცემ. მე თითონ დავიჭერდი, მაგრამ ვაი თუ ვერ მოვერიო; ბიჭები კი შორსა მყვანან.

როდესაც შჩელმენკო განთავისუფლდა კირილე პეტროვიჩის ბრჭყალებიდგან, მოუბრუნდა ჩუმათკაპიტანსა.

— თქუენ თქუენთვის იყავით ჯ მე საქმეს დავაბოლავებ.

მერე დაუწყო კირილე პეტროვიჩს ლაპარაკი.

— იცით ეს რომელი ქალი არის?

— ეგ ჩემს ქალსა ჰგავს, როგორ არ ვიცი.

— ღმერთმა დამიფაროს ის არ იყოს, ან რა საჭირო არის ის ჩვენთვის, ეს ის კი არ არის, ეს არის თქუენი მტერი რომ არის ტარ. . , . ტარუნკევიჩი, ბატებზედ რომ გიჩივით ჯ მოსისხლე მტერი, იმის ქალია.

— ტარუნკევიჩის ქალი არის მართლა!

— ჭეშმარიტად სწორედ ის არის. კაპიტანი ჩემის რჩევით დაინიშნა ამაზედ. მამა თანახმა არა ხდებოდა ჯ მოვიტაცეთ.

— აი ეოჩალ! აგრე აი! მერე აქ რიდასათვის მოიეკვანეთ?

— აი რა თქუენო მაღალკეთილშობილებავ დაულოცველად არ უნდა ჯვარი დაიწეროს. გეგვედრებით თქუენ დალოცოთ, იეავით თქუენ თუთონ ამის მეორე მამად კარგათ იცით თავისი მამა. როგორც გულმოსული ბ გაჯავრებულია, არ დალოცავს, წამოვიეკვანეთ აქა, ეკება რომ გთხოვოთ, თქუენ მაინც დალოცოთ.

— რადგანც აგრე არის, დიდის კმაეოფილებით ამითი ხიკეთეს უზავ კაპიტანსა, ტპრუნკევიჩის ჯავრს ამოვიეური ბ ხალხშიაც შევარცხვენ, აი კარგი შემთხვევა! მერე რა შესაფერნი არიან. როგორც ნეფე არის, იმისთანაც დედოფალია. დაეხსენი მაგისი მამა ტპრუნკევიჩი ჯავრით გასკდეს.

ეს რომ თქუა, მაუახლოვდა კირილე პეტროვიჩი კაპიტანსა და თავის ქალს პაზინკასა, რომელიცა ხის ქვეშ იდგა შინელში გახვეული ბ კაპიტანს მოეხვია ორივე ხელები.

— აბა სადა ხართ? აქ ისე ბნელა, რომ ლამის ძლივს გაგარჩიოთ. მე ვიცი ქალო თქუენი განზრახვა,

ნუ გრცხვენიანთ, მოდი, გულით ჯ სულით დაგლოცოთ თქუენი მამის მაგიერ.

— იქნება მართლა თქუენ თანასმა ხართ, მიუგო კაპიტანმა ივანე საგიჩმა.

— თანასმა ვარ ჯ ვაქებ თქუენს მოქმედებასა ეი ეოჩალ! დასამტკიცებელად ჩემის თანსმობისა, გთხოვ დიდის ვედრებით, ჯვარის წერის შემდგომს ჰირ ჯ ჰირ ჩემთან მოსვიდეთ ვახშმათ. მე თითონ გადაგისდი ქორწილს. მოგილოცავთ ჯ გაგისტუმრებთ შინისაკენ.

— მაშ ჯელი მიბოძეთ კირილე ჰეტროვიჩ, მომეცით ჰატიოსანი სიტუვა, მიგვიღოთ ჯვარის წერის შემდგომს როგორც შვილი ჯ დაგვლოცოთ, უთხრა კაპიტანმა ივანე საგიჩმა.

ეი ჩემი ჯელი, გაძლევთ ჰატიოსან სიტუვასა, მიუგო კირილე ჰეტროვიჩმა ჯ აკოცა ჰირზედ.—სულ ერთიან დამივიწუნია რაც რამ მოხდა ჩუენში.

როდესაც ჰაზინკამ დაიჩოქა ჯ კურთხევა სთხოვა მამამ დალოცა, ეოველივე ბედნიერება ისურვა ჯ სთხოვდა ჯვარის წერის შემდგომს, იმასთან მისულიეენ ვახშმათ, სადაც კარგს ქორწილს გადუსდიდა, როდესაც ნახა თავისი ქალი შინელში გახვეული ჯ

თავზედ ფურაჟკა დახურული, რა ვერ იცნო კიდევ დაუწეო.

— აი, ეგ კარგი, გიქნიათ, ვერაფინ გიცნობთ. მერე რა გისდება შინელი.

— თავის მამამაც რომ ნახოს, ისიც ვერ იცნობს, დიუმატა სიცილით, შჩელმენკომ.

— რა შავ ქვას იცნობს, უთხრა კირილე ჰეტროვიჩმა. აბა ბ, გასწიეთ ჩქარა, ღმერთმა კეთილი ქმნას, შეგაპერეთ ბ გაგაბედნიერეთ.

ივანე საფიჩმა ბ ჰაზინკამ რა მიიღეს ლოცვა კურთხევა კირილე ჰეტროვიჩისაგან, მაშინვე გაემართნენ ბაკლესიისაკენ ჯვარის დასაწერად. შჩელმენკომ ერთი კიდევ თავისებურად მასხარულად დაუწეო ლაპარაკი, კირილე ჰეტროვიჩს ბ თან ქვეშ ქვეშ იცინოდა.

— როგორც სალდათს, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ თქუენნო მაღალკეთილშობილებავ, რომ ლაზათიანათ მოსტაცეს მამას ქალი.

— სწორეთ რომ ლაზათიანათ. აი ეგ ძალიან კარგი საქმე მოხდა. ჰე, ძლივს არ მოველი ტპრუნკევიჩის ოხტიდგანა. მეც კი მოგეხმარენით, ბევრი იეო თუ ცოტა.

— სწორეთ თქუენნო მაღალკეთილშობილებავ, თქუენ რომ არა ბძანებულიუყავით, საქმე შეგვიანდებოდა.

— ახლა უეურე იმის მამის თმების ბლეკვას როცა შეიტეობს. ეს სთქუა კირილე პეტროვიჩმა ⁄ შექნა სიხარულით ხარხარი.

შჩელმენკომაც იმის სიბაძვით დაიწყო სიცილი.

როდესაც ეს ანბავი გათავდა ⁄ შინ შეეიდა კირილე პეტროვიჩი, მაშინვე ეს ანბავი დიდის სიხარულით უანბო თავის ცოლს ფენა სტეფანოვნასა, თუ როგორ გადაუსადა თავის მტერს ტპრუნკევიჩს ⁄ როგორ მოატყებინა კაპიტანს იმისი ქალი ამასთანავე დაუმატა, მადლობა ღმერთს, ძლივს ჩუენი ქალი უშიშრად გვეეოლება ახლაო, მერე უბძანა მოსამსახურეებს, საჩქაროთ ჩირაღდანი მოემზადებინათ ⁄ თითონ შეუდგა როგორც სიქორწილო ვახშმის მომზადებას ისე მეზობლების მოწვევას, უამისოთაცა ჭეეანდნენ სტუმრები, რომელთაგანში იეო როგორც ზემოთაცა ვთქვით, ერთი მხრის შემძლებელი მებატონე, პიცკოვსკი, თავისის ცოლშეკლით.— ვერცხლის ჰოდნუცზედ მოამზადეს ჰურმარილი, რომელიცა უნდა მიეგებებინათ კარებში ნეფე დედოფლისათეს როცა სიეძრიდგან

დაბრუნდებოდნენ, კირილე პეტროვიჩს ჯ იმის ცოლს ფენა სტეფანოვნასა,

სტუმრებმა დაიწყეს მოსვლა, ზოგთა ბრიჩკებით, ზოგი ცხენებით, ზოგთა ფეხით. ზალაში, მძიმედ მორთული კირილე პეტროვიჩი მიიღებდა სტუმრებს მხიარულად. აქ არ უნდა დაავიწყოთ მკითხველო. რომ იმ ღამეს კირილე პეტროვიჩს მაინც დიდი სტუმრები ჰყოლნდნენ მოწვეულნი, რადგანც თავის ქალს პაზინკას ნიშნავდა ერთს ემაწვილს კაცზედ, პეტერბურღითგან მოსულზედ. თუმცა ეს სრულებით პაზინკამ არცკი იცოდა, ცხრა მეუზიკენი დააყენეს შესავალ ოთახის გვერდზედ, კირილე პეღროვიჩს დარიგებული ჰყოლნდა, როცა ნეფე ჯ დედოფალი შემოვიდოდნენ ამათ მარში უნდა დაეკრათ.

როდესაც რომ ჩაი შემოიტანეს ჯ გაათავეს კიდეც, შაშინ ფენა სტეფანოვნამ დაიძახა.

— ახლა დრო არ არის, გამოვიყვანოთ ჩემი ქალი პაზინკა თავის ოთახიდგან, დასანიშნავად.

— მოითმინეთ სულიკოჯან, ბარემ ახალი ჯვარ დაწერილნი ნეფე დედოფალნიც მოვიდნენ. ტპრუნკევიჩის, ჯერ იმათ გადაუხადოთ ქორწილი ჯ მერე ჩუენი ქალი დავნიშნოთ, მიუგო კირილე პეტროვიჩმა

— მაგას რასა ბძანებთ კირილე ეეტროვიჩი,— თქუენგან არ მიკვირს? მაგისთანა ჭკვიანი ⁄ განიერი კაცი ⁄ სხვის ბედნიერებას რჩეულობ, თქუენი ქალის ბედნიერებას კი უკან აუენებთ. თაკში ქუა კაპიტანმაც ისალოს ⁄ იმის ჰატარძალმაც, რა ჩუენი საქმეა! იმან თუნდა, ჩემი გოგო შეირთოს, ან რა საკადრისია იმათთანა უბრალო სალხის შემოშვება. ჩუენ ჩუენი ქალი გვეავს.

— არა, ჩემთჳს სულ ერთი არ არის, ის როგორ მიდირს რონ ჩემ მტერს ტპრუნკევიჩს თვალებს დაუ-ენებ, კაპიტანმა მოინდომა ჩუენისთანა დიდი კაცის ქალის შერთვა ⁄ რა უარი უთხარით წამოვიდა ⁄ უბრალო კაცის, ბებერი ქალი კი შეირთო, ისიც მოტაცებით ჩემდა სასისარულოდ. ამითი ეს ჩემი მტერი ქუჩუანაში შერცხვა ⁄ მე ეს დიდად მიხარიან. ამ შემთხვევით იმის დაკაზედ ხელს ავიღებ ⁄ შევრიგ-დებით კიდეც. ის არის ცუდი კაცი. მხოლოდ ეს არის რომ ცხვირს ზემოთ იწევს. ის მე დამცინოდა, მაგრამ თითონ ის შეიქნა სასაცილოთ, რომ ქალი მოსტაცეს. მეც კი კარგად შევეწიე მოტაცებაში ერთი მივიდნენ ნეფე დედოფალი, მაშინვე კაცს გაუგზავნი მისალოცა-ვად ⁄ მასხარად აიგდებ. მერე კიდევ მიუბრუნდა კი-

რილე პეტროვიჩი თავის ცოლს ჯ უთხრა ჩურჩულით ჩუენ ამისათჳს დავაშორეთ ჩუენი პაზინკას დანიშვნა რომ იმ წეული კაპიტანისა გვეშინოდა, მოდი სულიკოჯან, ეს ამაღამდელი ნიშნობა გადავდოთ შემდგომისათჳს, იქნება უკეთესი საქრმო უშოვნოთ. ჰა როგორა ფიქრობთ თქუენ?

— მაგას რას ანბობ კირილე პეტროვიჩ! ეგ რამ გაგიქრებინათ, ამოდენა სახლი, ბაღი ჯ ეზო გაჩირაღდანებულია, სარჯი მოგვსვლია, სტუმრები შეერილნი არიან, თქუენკი იძახით გადავდოთო! წარმოიდგინეთ ეს მანც თუ რამდენი ინდოური ჯ ბატი დაიკლა. ან უკეთეს სასიძოს სად იშოვნი ამაზედ. ეგ უველა კარგი მაგრამ რა დაემართა. რით ვერ მოირთო პაზინკა, რომ გამოვიდეს. აქამდისინ თუნდა ერთ დუჟინს კაბებს ჩავიცვამდი.

— ჩემი ქალი რთავს, უპასუხა მეზობლის მებატონეს ცოლმა აგრაფინა სემენოვნამ. მე ჩემს ქალს ევჟენის ურჩიე, ისე მორთოს პაზინკა ჯ იმ დროს გამოიეგანოს ამ სალხში, როგორც ამ შემთხვევაში პეტერბურღში იქცევიან, თქუენნა ნეფეე,—მიუბრუნდა სასიძოს, ეგ თქუენი საქმე არის შეიტეოთ, მალე გამოვა თქუენი სასიძო, თუ არა?

ამათი სასიძო იყო, ემაწვილი კაცი, პეტერბურ-ღიდგან მოსული, რომელსაცა ერქვა ლოპუტკი ⸗ რომელმაცა უპასუხა.

—წელან მიეეპარე ჩუმათ, ჩემი საცოლოს კარე-ბთან, იქიდან შემომესმა ფორტოპიანის ხმა, რომელ-საცა დამღერიდა თქუენი ქალი ეკატერინა ⸗ პაზინკას ხმა კი არ მესმოდა.

— ეს საკვირველია, ჯეშმარიტად საკვირველი, რომ აქამდინ ის ქალები არ გამოდიან. თუნდა მომ-კალით საკვირველია, სთქუა ფენა სტეფანოვნამ პაზინ-კას დედამ.

ლაპარაკი შეწყდა. ყველანი გაჩუმდნენ ⸗ სი-ჩუმე შეიქნა.

ამ დროს ერთი დიდი ყოფა ⸗ მახილი შეიქნა ყველასაგან.

— მოდიან, მოდიან, მოდიან ნეფე დედოფალი!

კირილე პეტროვიჩმა ფრაკი ⸗ მანჭეტები გისწორა, მრთელი ისპანია დააკიწყდა ⸗ შექნა ყვირილი. მარში დაუკარით, მარშიო! მუზიკანტებმა დაუკრეს მარში ⸗ შეიქნა ერთი ანბავი. შერე მოაკლო ყელი ცოლსა ⸗ შეუმასა:

— აბა სულიკოჯან, ჩქარა ხატი, ჰური ⸗ მარილი, მივეგებნეთ კარებში. ჩქარა გავიდეთ ზალაში.— როდესაც თითქმის ძალათ გაათრიეა ცოლი ზალაში ⸗ დადგა იმის რიგზედ კარების შემოსავალში, ჩაახველა ⸗ ერთი კიდევ მაშინ გაისწორა ფრაკი.

ივანე საგიჩმა ახალმა მეფემ, რომ შემოდგა ზალაში ფეხი უთხრა კირილე პეტროვიჩს.

— კირილე პეტროვიჩ! მიგვიღებთ თუ არა, როგორც თქუენ საკუთარს შვილებს, როგორც სიტუვა მოგვეცით.

— ისე მიგიღებთ, როგორც ჩემს საკუთარ შვილებსა, უპასუხა კირილე პეტროვიჩმა. მოდით, მომეხვიენით გულზედ!

კარები გაეღნენ. ივანე საგიჩი ⸗ პაზინკა, შინელში გახვეული ფურაშკით, შემოვიდნენ ⸗ ჩაუვარდნენ ფეხებში, როგორც მამას, ისე დედას.

— ბატონო მამავ! საუვარელო დედავ! გვაპატიეთ, დაგვლოცეთ!

როდესაც კირილე პეტროვიჩი აპირებდა გულში მიეკრა ეს ორნივენი, ისე პაზინკამ გადაიძრო შინელი ⸗ მოიხადა თავიდგან ფურაჟკა. რასაკვირველია მამამ

მაშინათვე იცნა თავისი ქალი ჯ როგორც გაქუბავებულს, ისე ჰირი ღია დარჩა. ძლივს წამოილუღლუღა:

— ეს . . . ეს რა ანბავია! . . . ამას რას ვხედავ!

— ოხ, ღვთის მშობელო დედავ! ეს ხომ ჩემი ჰაზინკაა, წამოილუღლუღა აგრეთვე ფენა სტეფანოვნამ.

თქუენი შკლები, განუურელნი ცოლ-ქმარნი არიან, უთხრა ნეფემ, თავის სიმამრს ჯ სიდედრს, გთხოვთ, გეფედრებით, დაგვლოცოთ, გვაპატიოთ!

— ახლა რაღა ვქნა, ანბობდა ფენა სტეფანოვნა.

— ჩუენს ჰეტერბურღში მაგნაირი საქმე რომ მომხდარა, მაშინათვე გულს შესწუხებიათ. წაიქეცი ჩქარა, სასიამოვნო იქნება, უთხრა სიცილით სტუმარმა აგრაფენა სტეფანოვნამ.

— ეშმაკებმა წაგიღონ შენცა ჯ შენი გულშეწუხებაცა, სოქუა გაჯავრებით ფენა სტეფანოვნამ. თავსბრუ მეხვევა, ჯკუიდგან შეგიშალე, ჯ ეს გულის წუხილს მიქადაგებს.

მთელს იმოდელა სტუმრებს განკვირვებისაგან ჰირი ღია ეჭირათ ჯ არ იცოდნენ რა ეთქვათ. ოსიფ ჰროკოპიჩი, აგრეთვე სტუმართაგანი ჯ კარგი შემძლე მებატონე, ევჟენის მამა მანჟეტებს ისწორებდა. მერე

ამოიღო ბურნუთის კოლოფი, მოსწივა და ისე გაშეშებულივით დარჩა,

კირილე ჰეტროვიჩს ლაპარაკის თავი აღარა ჰქონდა, მხოლოდ რაღასაც ლუღლუღებდა.

— ეს როგორ მოხდა . . . უფალო კაპი . . . ტანო, საიდგან წაიუვანეთ ჩემი ქალი?

— თქუენ თუთონ არ ჩამაბარეთ ჯარ დაგვლოცეთ, მოიგონეთ რომ თითონ თქუენ დაგვლოცეთ, ეკკლესიაში გაგვისტუმრეთ ჯ აქეთ ჩუენი განზრახვა, თქუენ თითონ გვიბძანეთ ჩქარა ჯვარი დაგვეწერა, აი დავიწერეთ ჯ გიახელით, ახლა ვითხოვთ მშობლიურს ლოცვა კურთხევასა.

— ეს რა გიქმნიათ სულიკოჯან, უთხრა თავის ცოლს ფენა სტეფანოვნამ. თქუენ თითონ მიგიციათ ნება ჯ რაღას ლაპარაკობთ ბევრსა.

კირილე ჰეტროვიჩი უფრო გადაირია.

— მო . . . , მომი. . . . მომიტევეთ . , . მე თქუენ მართალია დაგლოცეთ, მაგრამ ტპრუნკევიჩის ქალზედ ჯ არა თუ ჩემ ქალზედ.

— მე რომ იმისი ქალის შერთვა მდომოდა ხომ თქუენ აღარ შეგაწუხებდით, მაგრამ თქუენ თუთონ გულიანათ დაგვლოცეთ, მითხარით ჩემი შვილი ხარო

აღშითქვით გეგვარებოდი. ესა სთქუა ივანე საგიჩმა ⁄ დაიჩოქა, აღასრულეთ თქუენგან მოცემული პატიოსანი სიტყვა. დაგვიბრუნეთ სიყვარული, სთხოვეთ დედასაც.

— თქუენგან არ მიკვირს კირილე პეტროვიჩ, ეუბნებოდა ცოლი ფენა სტეფანოვნა, მაგისთანა ჯკვიანი კაცი ხართ, თქუენისთანა გონიერი კაცი, მრთელს ათს გუბერნიაში არ მოიპოვება, არ ვიცი, ჯეშმარიტათ არ ვიცი, თუნდა ახლავე მომკალი, არ ვიცი. ეს ოცი წელიწადია მე ⁄ თქუენი ცოლქმრობა, ახლა ამ ხალხთან გეუბნები, ერთხელ იმისთანა საქმე არ დაგიჭერიათ რომ ჯკვიანური არ ეოფილიყო,—ახლა კი, ფუ! ამისთანა სულელობა არ გაგონილა! თქუენ გონიერებას ⁄ ჯკუას, როგორ ეკადრებოდა, ქალი მოგიტაცებინებიათ.

— რა ვქნათ, განა არ შეიძლება ჯკვიანი კაცი შესცდეს, მიუგო კირილე პეტროვიჩმა, ეს შეცთომით მომივიდა, რა ვქნა, დამნაშავე ვარ.!

— გვაპატიეთ. დაგვლოცეთ! იმახდნენ ნეფე-დედოფალი.

— აპატიეთ, დალოცეთ, ანბობდნენ ერთიან ვინც სტუმრები იყვნენ.

ამ დროს შემოვარდა ევჟენი ⸗ რა შეიტეო ვი-
თომც ეს ანბავი, სთხოვდა ესეც, ეპატიებინათ..

— ეგ იყო ჩუენი ჰურმარილის სანაცვლო? ეუბნებოდა ფენა სტეფანოვნა.

— როგორ ფიქრობ სულიკოჯან, ფენა სტეფა-
ნოვნა, ჭკითხა ცოლს კირილე ჰეტროვიჩმა, ბევრი ფიქრის შემდგომს.

— მე რა უნდა ვიფიქრო. თქუენ უფრო ჭკვი-
ანი კაცი არა ხართ. ჩემი საქმისა მე ვიცი. ამისთანა ვახშამს აბა რა უყოთ კარგათ იცით. მეტი გზა არ არის, უნდა ვიპატოთ!

— ვაპატიოთ ⸗ ვაპატიოთ! დაიძახა კირელე ჰე-
ტროვიჩმა,

ესა სთქვეს ⸗ ორთავე დალოცეს, მაგრამ იმ ღამის ქორწილი ქორწილად არ ჩათვალეს, ორი კვირის შემ-
დგომს გადაუხდეს ჩინებული ქორწილი.

კნეინა ეკატ. ერისთავის ლექსებითგან.

კარდაკარ მსვლელი მრონინე არის ან გლახა ან მწირი
სად უღამდება არ იცის ჯ სად შესვდება მას ჭირი
სადაცა მივალს კარისად მუნ მსოლოდ მონა დასვდება
უთუოთ გროშას მისცემენ ჯ გლახაც თანა წარსდება.
თუ შორით გლახის სამოსით მწირი მოსულარს მლოცავად,
დიდების კართა რათა რეკს სად არ არს წმიდათ მოსავად.
ანუ თუ ნაცვლად მწირისა სხვაცა შექმნილა მაშვრალი,
რაღათ მცონარებს სიზმარს სდევს რათ დაუხუჭავს
მას თვალი.

არ უნდა იყოს უმლური შრომისა კარის გამღები,
არცა მოშიში ჭმუნვისა ჯ მითი ველის ამღები
მისთვის მარადის იქმნება დიდების კარით განგებულ
ბედნიერების კარებიც მისთვის არ ოდეს განღებულ,
სიყვარულისა კარებთან ვინც არის აგრე ჩვეული
რად არა მადლობს, უცემრად გადარჩა გამოქცეული
საფლავის კარის ძიება არ ვისგან არ არს საცდელი
თუ არ მცონარის უსაქმოს ჯ ველ უარის სათქმელი.

ვისაც მოსვდეს ჩემი არა ბრალია

“ ვაის გავეუარეო, ვუის შევეუარეო ,, ჩინებული ანდაზა გვაქუს ჩუჩნ ქართველებს. ასლა ჩუჩნი კაცი ⸗ დედაკაცი, რასაკვრელია უფრო ზოგი, თითქმის გადარეულია. ჩუჩნში არა ვინა ფიქრობს, არა თუ თავის გარშემო მეოფს მოძმეებს შემატოს რამე, ხელი გაუმართოს ⸗ უშველოს, ის თავის თავისათვისაც არა ზრუნავს. ამ გვარს შემთხვევაში, ჩუჩნ მრიელ ერთგულათ ვასრულებთ ჩუჩნის მაცხოვარის სახარების სიტყვებსა, რომელიცა თავის მშვენიერის ⸗ ღუთიურის ენითა ბძანებს ,, მისედეთ ფრინველთა, რომელნიცა არცა ხნამენ, არცა სთესამენ ⸗ მაძა მათი ზრდის მათ, ნუ თუ უკეთესნი არა ხართ მათზე. ,, ეს საკვირველად შეუსწავლიათ ზოგი ერთა ჩუჩნ ქართველებს, რასაკვრველია ვინც დაშვებულნი არიან ⸗ ეზარებათ ჯელის გაძვრა. ისინი მრთელი დღე თავის თავის ნებივრობაში არიან, ისინი სულ იმასა ფიქრობენ, რა ჩაიცონ, რა დაი-

ხურონ, როგორ მოაწონონ თავიანთ კოხტაობით თავი სხუებს, ამ გუარ ცხოვრებას, რასაკვირველია როგორც ზემოთა ვთქვი, უშრომლად ცხოვრებას ფულები უნდა, ფული შრომით მოიპოვება, იმათ შრომა სმულთ ⁄ რა წარმოდგება აქედან მკითხველო? კარგათ მიხვდებით, ეოველივე ავი საქმე! მაშინ ადამის ტომი, ეველასა ბედავს. მაშ რა ქნას, რომ მცონარე არის? რომ ეზარება, თავისი მომაკვდავი გვამი მოიუვანოს მომრაობაში? ჩუენი ზოგიერთი ქალებიც, აბა რაღა თქმა უნდა, ეხმარებიან კაცებს სიზარმაცეში, იმათ უფრო ეჭირებათ ცუდობა ⁄ ცუდათაც დაიარებიან, ან არა ⁄, ტევილ უბრალოთ დროს არბენინებენ, ⁄ ერთს მისსალს ოჯახს არასა მატებენ. იმათ მობეზრდათ ლოტო, ახლა შეუდგნენ ვაჟკაცურს თამაშობას,— ბროფერანს; მრთელი დღე ⁄ ღამე ამას უნდებიან; იმათ აღარც კი ახსოვთ თავიანთ სახლის გზა; აღარ იციან იმათი სახლი, რომელს ქუჩაში მდებარეობს;-- ჩუენი ქალები! ღმერთო ეს რა უბედური დრო დაუდგა ზნეობას!—ეს ეველა კარგი, მაგრამ როდესაც ფული შემოაკლდება ბროფერანსის მოთამაშეს, მაშინ რა უნდა ქნას? თამაშობა უნდა ⁄ ვერ უთამაშნია, რადგანც ჯიბესთან მწურალათ ბძანდება;—ის ჩვეულია ამ გვარ დროს გატარებას,

ვერ ითმენს , ... მაშინ ის ბედავს საიდანაც იყოს, მოიპოვოს ფული, ... , ამ გვარი საშინელი შემთხვევა მოხდა, პროფერანსის თამაშობის დროს. , . . ერთს ოჯახში, სადაცა . . . პროფერანსის მოთამაშეთ როგორც შეეიტეეთ, სახლის პატრონის ფული მოუპა. . . . . ოხ, ღმერთო, მადლობა შენოვის, ამ დროს შეგვასწარი. ახლა განისვენებენ ისინი საპერობილეში . . . . ის არ ერჩიენათ იმ მეპროფერანსე ქალებს, პატიოსნათ ⁄ შრომით მოეპოებინათ ცხოვრება! ის არ ერჩიენათ პროფერანსისათვის თავი დაენებებინათ ⁄ ეფიქრათ რა მოუხდებოდა თავიანთ ოჯახსა? რა შაედრება ოფლით ლუკმის ჭამასა! ნეტა რა შემრგო არის ეს საჭმელი, რომელიცა შეიძინება ოფლით, შრომით, გასჯით, კეთილის გზით! ამითი უქადნიათ ჩუენ მამებს, ჩუენ დედებს ⁄ დროა მოვიგონოთ იმათი ღუთიური ცხოვრება; ცუდი ქცევა სალხის საზიანოა;—კარგი ქცევა სალხს გააპატიოსნებს, გაამდიდრებს, ღირსებით მაღლა დააყენებს. ეს სომ ასრე, აბა ახლა მივხედოთ იმ ქალებს, რომელნიცა მრთელი დღე თავიანთ თავის კოხტაობას უნდებიან, ის ადგება თუ არა, არ დასდევს, იმის სახლი ღარიბია თუ ღატაკი, ის იმასა ფიქრობს თავისი

თავი ვის როგორ მოაწონოს! გამოვა ჯ იეურება, ვის მოსწონს, ის სულ ამას ფიქრობს, ამითი ის თავის ოჯახს ფესხედ აუენებს, ასე ფესხედ, რომ აქცევს.— ის ეველას თვალწარბში უეურებს, ვინ იტევის ლამაზიაო, იცით რა საეკარელო მკითხველო, ამ ახლოს დროში კახეთისაკენ ვიეავი, აღარ მახსოვს თელავში იეო თუ სიღნაღში, მგონია უფრო თელავში, ერთს ქალს შეეხვდი, რომელიცა იული ჰასტრანოზედ არა მგონია ნაკლები იეოს; თავი ჩასძრომია, თითონ ერთი დალეული რაღაც რამ, ვიღასაც ჩაეგონებინა, რა ლამაზი სარო, თქუენ რომ ცოტა წვრილი თვალები გქონდეთ, მრთველს საქართველოში ცალი აღარ გეეოლებათო, ეს რომ შეიტეო, იმ დღითგან თვალები დაიბრმავა, ისე დაიბრმავა რომ, თვალებს ნახეკარზედ ხუჭავს ჯ ეველას ისე კოსტად შეჰეურებს; მეორემ უთხრა, რასაკვირველია ნიშნად მასხარობისა, მეტად წვრილი ჯ კოსტა, ჰაწაწა ფესები გაქვსო, ეს რომ შეიტეო, რაც კაბები ჰქონდა, მეათედ ნაკლებ ფასად გააეიდვინა, ასალი კაბები დააკერვინა ისეთი, რომ ერთ არშინზედ ფესები უჩნდა უმზგავსო; კახელები ხუმარანი არიან ჯ ბოლოს ერთმა კიდეე უთხრა, რა თეთრი გული გაქუსო; ამ სიტეეაზედ, ისეთი გულის ჰირი გამოაჭრეეინა რომ გული

სარტველამდინ გაღეღილი აქუს. აშენდა ქმრის ოჯახი, მგონია იმისი ჯამაგირი ერთს კვირასაც არას გაუხდება. აი, რა ანბავია, ასე და ამ გვარად გვღუპამენ ზოგი ერთნი ჩუენნი დედათა სქესნი. იმას ხომ არა ვფიქრობთ, ხვალ რა გვქონდეთ, ჩუენ ღღეისას ვეტანებით; ⰴ ამ ღღეისასაგან წარმოდგება ათასი გვარი საზიზღარი საქმე. მითომ იმედია, გავწორდეთ? იმედი არის, თუ სწავლას მიუმარჯვეთ ⰴ გონებას ნათელი მიმართულება მივეცით. ნამდვილი სწავლა ⰴ განათლება, ეველას დათრგუნავს. ღმერთო ნუ აიღებ ჩუენზედ ჯელს!

თავხედი.

სხუა ⸗ სხუა ანბავი.

— ჟელამ ვიცით ⸗ დავრწმუნდით კიდეცა თუ რა დიდი სარგებლობა მოუტანა ჩუჩნს ქვეყანასა ფოთი-ტფილისის რკინის გზამ; მეორე უკეთესი ⸗ ჩინებული განზრახვა მთავრობისა ის არის, რომ რკინის გზა მეორე, ტფილისიდგან გაიტანოს ვლადიკავკაზში, ეს ამ გაკეთებულ რკინის გზაზედ უფრო მეტს ⸗ დიდს სარგებლობას მისცემს კავკაზსა; ჯარ ერთი ესა რომ სიაფეს ჩამოაგდებს, რადგანც რუსეთის მხრიდგან მარჯვეთ მოვა ეველაფერი ⸗ მეორე ესა, რომ რუსეთში გაგვიადვილდება წასვლა—მოსვლა; ჩუჩნი რუსეთის საკელმწიფო ახლა მადლობა ღმერთს დიდს ბიჯს ადგავს ⸗ ბევრი კეთილი მოაქუს ჩუჩნის ქუჩუნისათჯს. ანბობენ, ეს ჩუჩნი ტფილისი რკინისავე გზით უნდა შეუერთდეს ბაქოსაო, ბევრს კარგსა და კეთილსა ნახამენ ჩუჩნი შვილები ⸗ თითონ ისინიც, ვინცა მოესწრობიან, რამდენიმე წლის შემდგომს. ჩუჩნი

ქუჩუნის კაცს გაგონებული აქუს ინდოეთი ჯ მგონია არცკი იცის რომელს კუთხისაკენ უნდა იყოს; ნახვით ხომ სადა ნახავდა ასის წლის სიცოცხლე რომ ჰქონოდა; ახლა ჩუჩუნს ვაჭრებს, იმ მშვენიერის ინდოეთის ნახვაც აღარ გაუჭირდებათ ჯ საქართველო ნახავს იქაურს იშვიათს ჯ მდიდარს სელთა ნაწარმოევს ჯ ბუნების სიმდიდრესა.

— გაზეთს კავკაზში, თავადი ანდრონიკაშვილი სწერს რუსულს ენაზედ ერთს სტატიას კეთილშობილთ ბანკის შესახებ, რომელსაცა იმედია წაიკითხამენ ცისკრის მკითხველნი დიდის სიამოვნებით. აი რასა სწერს: კეთილშობილთ ბანკის გახსნის სურვილი ამისათჳს უფრო აღიძრა ქართველებში, რომ ის აზრი აქუსთ, გააუკეთესონ სოფლიური მეურნეობა ერთის მხრით ჯ მეორის მხრით წვრილი ფული გაანთავისუფლონ დიდროანის ქვემდებარებისაგან. რომ ეს განზრახვა აღსრულებაში მოვიდეს, ბანკი ფიქრობს მისცეს ფული სესხათ მამულის გირაოზედ, არა იმის კვალობაზედ, თუ როგორ ფასობს მოსავალი ბაზარში, იმის კვალობაზედ აძლევს თუ რა შემოსავალი აქუს მამულს, ამ სახით სესხათ ფულის მიცემა ვარგა თუ არა? ჩუჩუნის აზრით ვიტყვით, რომ არ ვარგა; აი

რათა? ეველამ ვიცით თუ რა მდგომარეობაში არის ჩუენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა, ესეც ვიცით, თუ როგორ დატვირთულნი არიან ჩუენი მამულები ვალისაგან, მაშასადამე, იმდენს რას მისცემს ბანკი სესხათ ფულს, რომ გაჭირვებულს მდგომარეობიდგან გამოიყვანოს მამულის პატრონი. რასაც აიღებს, ვალში მისცემს ⁄ მამულს რას მოახმარებს. რომ უფრო ნათლად დავამტკიცო ეს, მაგალითად მოვიყვან ალაზნის გაღმა მდებარე მამულებს, რომელიცა ეკუთვნით თავად ანდრონიკაშვილებსა ⁄ ვაჩნაძეებს, ეს მამული არის ოცი ათასი დესეტინა ⁄ ნაოფიერიც არის. ამ დიდი მამულის პატრონებს, აქედან შემოსავალი აქუსთ წელიწადში ათას ორასი თუმანი, მაშასადამე ეს მამულები რომ დააგირავონ ამ საკეთილშობილო ბანკში, უნდა მიიღონ ამ შემოსავლის კვალობაზედ ექვსასი თუმანი, ესე იგი ნახევარი ათის წლის შემოსავლისა. ამ სასით მებატონენი მიიღებდნენ ერთ დესეტინაზედ სამს მანეთს. ახლა ეს ვიკითხოთ, ამ სამის მანეთით ნასესხის ფულითა, შეიძლება ერთი დესეტინა მიწა შევიმუშაოთ? ესეც უნდა შევნიშნოთ აქა, რომ ბანკი აძლევს დიდის ხნით ⁄ ნაღდს ფულს კი არა, დასაგირავებელ ფურცლებს აძლევს წკრილწკრილად, ახლა

ამ დასაგირავებელ ფურცლებს, იმ ფასათ გაჰყიდის ბირჟაზედ თუ არა? ჩუენ იმისათვის კი არ ვანაობთ ამას, რომ არა გვსურდეს ამისი გასსნა, ამ აზრისაგან ძრიელ შორსა ვართ; ამ გვარ ბანკს დიდი მნიშვნელობა აქუს, მაგრამ ჩუენში კი არა; ეს ამ გვარი ბანკი იქ გამოდგება, სადაც მამულების შემოსავალი მაღლა დგას. ჩუენ ასე ვფიქრობთ, თუ გვსურდა კეთილი მოგვეტანა ჩუენის ქვეყნისათუს, დაწესებული იყო საგაჯრო ბანკი, ამ სახით: ფული კეთილშობილებთაგან შეკრებული მოხმარებულიყო საგაჯრო ბანკსა, რომლის შემწეობით მამულის მოსავალი მიიღებს წესიერს განასყიდს ფულს ⅔ მოემატება როგორც მოსავალს, ისე იმის ღირსებასა. ამ გვარის ბანკისათუს საჭირო არის რასაკვირველია შენობა, სადაც დიდი საგაჯრო მოედანია, მამულის მოსავალის შესანახავათ, როდესაც პატრონი ჩაბარებს ამ ბანკს თავის საქონელს, თუსურს ნახევარ ფულს მიიღებს, რაცა ღირს; ეს ისეთი ბანკია, როგორც კამისიონერი ვინმე.

აი რა სარგებლობა მოაქუს ამ გვარ ბანკსა:

1) რამწავს პატრონს მოსავალი მოუვა, მაშინვე ნაწილს მიიღებს ფულათ თავის მოსავლიდგან.

2) ვერავინ გაჰყიდის სხვის საქონელს თავის სახელობაზედ.

3) ჩუჩნი საქონელი უფრო გაიყიდება ⸗ ეველა მოეტანება, როგორც ნამდჯლს ⸗ იაფსა.

⸗ 4) ეს კიდევ მეტი, რომ ამასობაში ვისწავლით, შევიტყობთ, როგორც ვაჭრობასა, ისე მოსავლის გაუმჯობესობასა.

იქნება თქუან, ამისთანა ბანკს ის ფული არ ეყოფა, რაც ფული შეგროვილა კეთილშობილთაგან, მაგრამ განა არ შეიძლება სხუა ბანკებიდგან გამოიტანოს დანარჩენი საჭირო ფული.

— ავსტრიის დედა ქალაქს ვენაში ამ წელიწადს არის საქვეყნოდ გამოფენა სოფლიურის ჯელთა ნაწარმოევისა, სადაცა აჰირობენ წასვლას ზოგნი ერთნი ჯელმწიფენი სანახავად. ჩუჩნის კავკაზიიდგანაც გაგზავნეს იქ, ჩუჩნებური მოსავალი ⸗ იმედი გვაქუს უცხო ქუჩუნებმა მიაქციონ ეურადღება ⸗ მოეწონოთ.

— მიხაილოვსკის სიდის ახლო რიეზედ, ერთი მართავს ახალად შემოღებულს თავისგან სალეწს მაშინასა, რომელიცა დიდად გამოსადეგი არის ჩუჩნი მიწის მხვნელ—მთესველისათვის. ეს იმ გვარი მოგონება არის, რომ გლეხკაცის შრომას ძრიელ გაადვილებს

ამასთანავე ბზე გამოჭვავს წმინდად ჯ უკეთესი რა იქ-
ნება ამაზედ მეტი, რომ თუ ვინიცობა არის მოიშალა
სოფელში ვინცკი მეურმე არის ჯ მჯდელი ყველას
ადვილათ შეუძლიანთ გაკეთება. ეს ამ გვარი მოგო-
ნება დიდს კეთილს მოუტანს გლესკაცსა, რომელიცა
მრთელი დღე ოფლსა ღვრის ჯ ღონეს იკარგავს,
როდესაც რომ შეიძლება ცოტა მუშაობით უკეთ ეაა-
კეთოს თავისი საქმე.

— გამოჩენილი ანგლიის ასტრონომი ჯემოს ჰუდ-
ლეი, წინათ მოგვითხრობს რომ ამ 1873 წელიწადს
იქნება იმისთანა მოსავლიანი წელიწადი, რომელიცა
დიდი ხანია არა ეოფილა. მოსავალი იქნება მდიდარი
ჯ ღვინო იმდენი მოვა, რამდენიც ჯერ აქამდინ არა-
ოდეს არ მოსულა. თებერვლის გასვლამდინ დაიწყობა
გაზაფხული ჯ ხენი შეიმოსებიან ფოთლებითა.

— ერთი . . . . . ანგლიის გაზეთი, გვი-
ამბობს რომ ოსმალეთის სულთანი. . . . . აბდულ
აზის აუშენეს მშვენიერი მარმარილოს სასახლე, რო-
მელსაცა მოახმარეს საუკეთესო არხიდეკტურა ჯ დაჯდა
საკვირვლად დიდი ფული. დანიშნულს დღეს როდესაც
ფადიშასს უნდა გაეშინჯა ეს სასახლე ჯ მზათ იყო
გადასახლებულიყო სახლობით, დიდად უსარდა ჯ

სიხარულით რა, დაუტევა ძველი სასახლე, წავიდა ჯერ პირველად ამ სასახლის სანახავად. როდესაც ადიოდა კიბეზედ, უცებ ფეხი წაუსხლტა ᲓᲐ წაიქცა. ეს დიდ წინასწარ უბედურების მომასწავებელად მიიღო, მაშინათვე უკან გამოტრიალდა ᲓᲐ აღარას გზით აღარა სურს იქ გადახვლა. ეს კიდევ არაფერი, უბრძანა არხიტექტურებს დაექციათ საჩქაროთ, რომ უბედურება იმაზედვე ამსდარიეო. თავი არხიტექტორი ᲒᲠᲘᲔᲚ შეწუხდა რომ ამდენი ამაგი ტუუილათ დაეკარგა ᲓᲐ მაშინვე გაქანდა ანგლიის ელჩთან, რომელსაცა სთხოვა ჩაეგონებინა სულთანისათჯს, არ დაექცია მაინც. სულთანმა შეისმინა ამ ელჩის რჩევა, აღარ დააქცევინა, მაგრამ თითონ კი აღარას გზით აღარ გადადის დისადგომად. ეს მშვენიერი მარმარილოს სასახლე დგას ახლა ცარიელი.

— ამ ახალი წელიწადის წინა დღეს, საღამოზედ ცხრა საათზედ, ერთი დარბაისელი კაცი მოდიოდა ტფილისის ალექსანდროვის ბაღში. როდესაც ის ზემოდგან დაეშო ბაღის მეორე მეიდანზედ, ᲓᲐ ჩამოდიოდა ნათალი ქვის კიბეზედ, შენიშნა, რომ კიბის ერთს ფესზედ გაწოლილი იეო ვიღაცა კაცი, თითქოს უგრძნობლადა გდიაო, იფიქრებდა მნახველი, დარბაისელმა

ბირმა ეს რომ ნახა, ავათმყოფი ეგონა ჯ რა შაებრალა, მივიდა ჯ ყელით რუკა დაუწყო, ამ დროს უკანა მხრიოგან ჯაგნარებიდგან გამოცვივდნენ ორნი ავაზაკნი, მისცვივდნენ ამ ღარბაისელს ბირს ჯ გახადეს ბალტო, ამ უცებ დაცემის მიზეზით, დაკარგა შლიაპა ჯ სათვალეები, მერე გამოუდგა ავაზაკებს, მაგრამ იმათი კვალიც ვეღარ იპოვნა. როდესაც დაბრუნდა შლიაპის ჯ სათვალეების საძებნელად, ვეღარ იპოვნა. ეს დანარჩენიც, იმ განგებ ავანტეოოს წაეღო.

— ამ ზამთარში ზოგი ერთს ქვეყნებში, ხელმეორედ აუვავდნენ ხვსილები, ყარშავის ჯ კიევის გუბერნიებში, ორჯელ გამოიღეს ნაყოფი ხვსილებმა, ისეთი თბილი ზამთარი იყო, ეს ზამთარი. ტფილისში კიდევ. შესანიშნავი ცვლილება მოხვდა ამ ზამთარში. იანვრის 11-სა, დილიო, როდესაც ბრწყინავდა მოწმენდილს ცაზედ მზე ჯ ჭბერდა ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრითგან ქარი, რომელიცა ჭფანტავდა ღრუბლებს ჯ მოჭქონდა თოვლი, გორიზონტზედ გამოჩნდა ცისსარტყელა ჯ იყო ცაზედ ხუთის მინუტის განმავლობაში.—

— ტფილისში აბირებენ, ღამით ფარნების ანთების მაგიერ, სადაცა იწვის ნავთი, გაზი უნდა ამო-

ქმედონ ქუჩებში, რომელიცა ერთი ათად მეტს ანა-
თებს. ამის გარდა აპირებენ ქუჩებში არსებით ტკვრის
წელის გამოტანასა. მცხოვრებთ სახმარათ.

— ეველამ ვიცით რომ სპარსეთში დიდი შიმ-
შილი იყო წარსულს წელიწადს. ახლა იწერებიან თავ-
რიზიდგან, მთელს სპარსეთში ისეთი წვიმები არის, რომ
მოელიან ჩისებულს გაზაფხულს ⵔ დიდს მოსავალსა.
ახლა ბურიც გაიაფებულა ასე რომ, ერთი ხალვარი
იყიდება თხუთმეტ მანეთათა ბური, ხოლო ქერი ხალ-
ვარი ცხრა მანეთათ. ერთი ხალვარი ჩვენებური ოცⵔ
ⵔ ათი ფუთი არის.

1873 წელსა.

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიის ხიდზედ, მირზოევის შენობაში, მარტირუზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს ან თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ აღრესით:

„ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

Дозволено цензурою.

Въ Типографіи Мартиросянца, на Михайловскомъ мосту.